საქართველო, ქ. თბილისი
ჭკუ „ქწტწდშ შ“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

□60/14 „19“ ივნისი 2014 წ.

შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფს“.

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ცაგარელის (ყოფ. კრონშტადტის) ქუჩა №70-72-ში, შ.პ.ს. სამშენებლო კომპანია „მერკური ჯგუფი“-ს მიერ დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. საპროექტო კორპუსის უშუალო მახლობლობაში იმყოფება მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობა, რომელიც აგებულია შ.პ.ს. „ათორი“-ს მიერ 2013წელს. შენობის მზიდი კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სივრცული სისტემის სახით. საძირკვლებად გამოყენებულია ნაბურღ-დანატენი ხიმინჯები დიამეტრით 80სმ. ხიმინჯები გაერთიანებულია h=50სმ. სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილოვანი როსტვერკით. ხიმინჯები დაფუძნებულია ძირითად ქანებზე, ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობაზე, სიმტკიცის ზღვარით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ პირობებში Rc=99.4კგ/სმ^2.

ხიმინჯების ტიპი ფუძესთან ურთიერთობის თვალსაზრისით დგარი ტიპისაა. ფუძე პრაქტიკულად უკუმშვადია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო შენობა მიუხედავად მისი სიახლოვისა არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არსებულ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლზე როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/